



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/89

„ 8 „ ოქტომბერი 2014 წ.

ბ ა ლ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სააპელაციო და რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად გამოცხადდეს კონკურსი სააპელაციო და რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში მოსამართლის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

ა) თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა - 2 საშტატო ერთეული;

ბ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა - 3 საშტატო ერთეული;

გ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა - 3 საშტატო ერთეული;

დ) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა - 1 საშტატო ერთეული;

ე) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა - 1 საშტატო ერთეული;

ვ) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა - 1 საშტატო ერთეული;

ზ) თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია - 6 საშტატო ერთეული;

თ) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია - 7 საშტატო ერთეული;

ი) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია - 6 საშტატო ერთეული;

კ) ამბროლაურის რაიონული სასამართლო - 1 საშტატო ერთეული;

ლ) ახალქალაქის რაიონული სასამართლო - 1 საშტატო ერთეული;

მ) ახალციხის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ადიგენის მუნიციპალიტეტში - 1 საშტატო ერთეული;

ნ) ბათუმის საქალაქო სასამართლო - 1 საშტატო ერთეული;

ო) ბოლნისის რაიონული სასამართლო - 1 საშტატო ერთეული;

პ) გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლო - 1 საშტატო ერთეული;

ჟ) ზესტაფონის რაიონული სასამართლო - 1 საშტატო ერთეული;

რ) რუსთავის საქალაქო სასამართლო - 1 საშტატო ერთეული;

ს) სამტრედიის რაიონული სასამართლო - 1 საშტატო ერთეული;

- ტ) სამტრედიის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ხონის მუნიციპალიტეტში - 1 საშტატო ერთეული;
- უ) საჩხერის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ჭიათურის მუნიციპალიტეტში - 1 საშტატო ერთეული;
- ფ) სენაკის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე აბაშის მუნიციპალიტეტში - 1 საშტატო ერთეული;
- ქ) სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლო - 2 საშტატო ერთეული;
- ღ) ფოთის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ხობის მუნიციპალიტეტში - 1 საშტატო ერთეული;
- ყ) ცაგერის რაიონული სასამართლო - 1 საშტატო ერთეული;
- შ) ხაშურის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ქარელის მუნიციპალიტეტში - 1 საშტატო ერთეული;
- ჩ) ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ხულოს მუნიციპალიტეტში - 1 საშტატო ერთეული.

2. კონკურსში მონაწილეობისათვის საბუთების მიღება განხორციელდეს 2014 წლის 15 ოქტომბრიდან 5 ნოემბრის ჩათვლით, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი